პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2023 წლის —— მარტი **ქალაქი ბათუმი**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქ. ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქ. N74–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ცირა აბზიანიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ცირა აბზიანიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქ. N74–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს უზრუნველყოს ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით შესაბამისი საბიუჯეტო და საორგანიზაციო ღონისძიებების გატარება.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქ. N74–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ცირა აბზიანიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს დამსახურებული არტისტი, ვერიკო ანჯაფარიძისა და ნუცა ჩხეიძის პრემიების ლაურეატი ცირა აბზიანიძე 38 წელი ბათუმის თეატრის მსახიობი იყო. ამ ხნის განმავლობაში მას არაერთი მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული:ნატალია (დარისპანის გასაჭირი); რიტა (განთიადი აქ წყნარია); სერაფიტა (აეტი) მედეა (თვალი პატიოსანი) მონა (უსახელო ვარსკვლავი) ანო (როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის) დოდო (მეფე ლირი თავშსაფარში) და სხვა.

ცირა აბზიანიძეს მიღებული აქვს ჯილდოები; 1983 წელს მას საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა, 1974.1979.1983 წლებში მიიღო პრემიები ქალის როლის საუკეტესო შესრულებითვის.

ბათუმის თეატრის მსახიობი ცირა აბზიანიძე 64 წლის ასკში მოულოდნელად გარდაიცვალა .საქართველოს დამსახურებული არტისტი, ვერიკო ანჯაფარიძისა და ნუცა ჩხეიძის პრემიების ლაურეატი ცირა აბზიანიძე 38 წელი ბათუმის თეატრის მსახიობი იყო. ამ ხნის განმავლობაში მას არაერთი მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული: ნატალია(დარისპანის გასაჭირი);რიტა(განთიადი აქ წყნარია);სერაფიტა(აეტი)მედეა(თვალი პატიოსანი)მონა(უსახელო ვარსკვლავი)ანო (როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის)დოდო (მეფე ლირი თავშსაფარში)და სხვა.

ცირა აბზიანიძეს მიღებული აქვს ჯილდოები; 1983 წელს მას საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა, 1974.1979.1983 წლებში მიიღო პრემიები ქალის როლის საუკეტესო შესრულებითვის.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქ. N74–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს ცირა აბზიანიძე სახელობის მემორიალური დაფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულ-ტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე **ლევან ცხოიძე**